პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი,
5
სექტემბერი
1935 წ.
№ 207 (4363)

დღეს ნომერში

— დაწყებითსა, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში სასწავლო მუშაობის ორგანიზაციისა და შინაგანი განწესრიგებისათვის (სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება).
— წესრიგი და დისციპლინა სკოლაში („პრავდის“ მეთაური)
— აშხაბად—მოსკოვის მარშრუტით ცხენებით გადარბენის მონაწილენი ამხ. სტალინს.
— ანრი ბარბიუსის ცხედრის გაცილება.
— რომენ როლანი—მეგობრის ხსოვნას.
— საკავშირო ველო-გადარბენა.
— მსუბუქმოტორიანი თვითმფრინავების საკავშირო შეჯიბრება.
— იტალია ხანგრძლივი ომისათვის ემზადება.
— ჩინეთის წითელი არმიის [illegible].
— გლეხთა მღელვარება ჩინეთში.
— ინგლისის პროფკავშირების ყრილობა.

წესრიგი და დისციპლინა — სკოლაში!

საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების ორგანოებს უდიდესი მეურნეობა მოეპოვებათ — ისინი ყოველ წელიწადს რამდენიმე მილიარდ მანეთს ხარჯავენ, მათს გამგებლობაშია ათიათასობით სკოლები, ისინი ზრდიან 25 მილიონზე მეტ საბჭოთა ბავშვს.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი სასკოლო მეურნეობა ულევსად დიდია, მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომებს, სახალხო განათლების ყველა ორგანოს მოეთხოვებათ თვითეულ სკოლას ოპერატიული, დიფერენცირებული და კონკრეტული ხელმძღვანელობა გაუწიონ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა უზრუნველჰყვეს ყველა საჭირო პირობა ჩვენი ქვეყნის სასკოლო საქმის გიგანტური აღმავლობისათვის. უკანასკნელ წლებში პროლეტარულმა სახელმწიფომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სასკოლო ქსელის გაფართოების, სკოლების გარდაქმნის, სტაბილურ სახელმძღვანელოთა შექმნის, სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებისა და სხვ. საქმეში. მაგრამ განსახკომებმა და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა არ გამოიყენეს ყველა ეს შესაძლებლობა და დღემდე არადამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დირექტივებს.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებმა გამოცდებმა დაგვანახვა, რომ იმ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებმაც წელს საშუალო სკოლა დაამთავრეს, საკმაოდ არ არის მომზადებული მეცნიერებათა გასავლელად უმაღლეს სკოლაში. პირველ სამედიცინო ინსტიტუტში (მოსკოვი) ყველა შემსვლელის მხოლოდ 20,5 პროცენტმა ჩააბარა გამოცდა რუსულ ენაში „ფრიადზე“ და „კარგზე“. სკოლაში კურსდამთავრებულ 1,845 კაციდან გამოცდა ჩააბარა 1.000 კაცმა. მოსკოვის საოლქო პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შემსვლელთა უმრავლესობამ ცუდად იცის გრამატიკა, რომ საშუალო სკოლებში კურსდამთავრებულებმა არ იციან დასავლეთ ევროპის ლიტერატურა, რომ თხზულებებში სჭარბობს შტამპები სახელმძღვანელოდან, რომ ხშირად გაიგონებ ასეთ პასუხს: „კომედია „რევიზორის“ მომქმედი პირები — გენერლებია“, „ფამუსოვი — ვაჭარია“.

დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილის ცოდნის დონე ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია იმის გამო, რომ განსახკომები ყოველ წელიწადს სცვლიან სასწავლო გეგმებს და პროგრამებს. ეს იწვევს უმყარობას მეცნიერებათა გავლაში და სასწავლო მუშაობის დეზორგანიზაციას. 1935 — 1936 წლის პროგრამების წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ „რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის განსახკომმა ხელახლა გამოსცა 1932—1933 წლის პროგრამები და შეიტანა მათში ის მითითებანი, რომლებიც მოცემული იყო განსახკომის მიერ 1934 წელს“. განსახკომის პრაქტიკაში ამას რატომღაც „სტაბილურ პროგრამებს“ უწოდებენ.

სახალხო განათლების ორგანოები ხშირად ლაპარაკობენ მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებაზე, სასკოლო დისციპლინის განმტკიცებაზე. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბევრ სკოლაში წესრიგი ჯერ კიდევ არ არის. აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების შესახებ ლაყბობას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია შესცვალოს შეგნებული დისციპლინის ყოველდღიურად დანერგვა. სკოლის ბევრ დირექტორს ჯერ კიდევ არ ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სკოლაში სისუფთავესა და წესრიგს მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცებისათვის, კულტურული ჩვევების აღზრდისათვის.

სად მარხია ამ ნაკლოვანებათა ფესვი? იყო დრო, როცა სკოლის მუშაკთა შორის ვითარდებოდა მემარცხენე „თეორია“ სკოლის კვდომის შესახებ. ამ „თეორიიდან“ გამომდინარეობდა, რომ საჭირო არ არის სახელმძღვანელოები და პროგრამები, როლი მასწავლებლისა, რომელიც ამავე დროს აღმზრდელიც არის არარაობამდე იყო დაყვანილი. პარტიამ გაანადგურა ეს სულელური ანტილენინური თეორია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის აღმოფხვრილი სახალხო განათლების მუშაკთა მნიშვნელოვან ნაწილში. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი სკოლის განმტკიცებისა და გარდაქმნის შესახებ საკმაოდ ვერ გაიგეს განსახკომებმა და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომელიც დღევანდელ „პრავდაში“ იბეჭდება. დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში სასწავლო მუშაობის ორგანიზაციისა და შინაგანი განაწესრიგების შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სასკოლო საქმის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

კონკრეტული და დეტალური მითითებანი, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს სასწავლო წელი, სასკოლო რეჟიმი, ცოდნის შემოწმება და კლასიდან კლასში გადაყვანა, მოწმობებისა და ატესტატების გაცემა (წარმატებისა და ყოფაქცევის ნიშნების ჩვენებით), მოსწავლეთა ტანისამოსის ერთიანი ფორმის შემოღება ხელს შეუწყობს მთელი სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. საბჭოთა სკოლის მიერ გაცემული ატესტატი — ეს არის სერიოზული სახელმწიფო აქტი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიური წარმატების ხარისხს და სკოლის, მთელი მისი პედაგოგიური აქტივის მუშაობის ხარისხს. ბუნდოვანი და შაბლონური „დამაკმაყოფილებელის“ და „სუსტის“ ნაცვლად, წესდება მკაფიო და გარკვეული შეფასებანი — „ძალიან ცუდი“, „ცუდი“, „საშუალო“, „კარგი“ და „ფრიადი“.

მიმდინარე წლის გამოცდილებიდან ვიცით, თუ რა უმსგავსოდ მოეკიდნენ სახალხო განათლების ორგანოები მოსწავლეთა დაკომპლექტებას და მათს გადაყვანას ერთი სკოლიდან მეორეში. სკოლებში თვითეული მოწაფის შესწავლას ხშირად სცვლიან ფორმალური, ბიუროკრატიული გამოკითხვით და ვეებერთელა პედოლოგიური რუკების შევსებით. სკოლის დირექტორი ხშირად ჩამოცილებულია ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს. პარტიისა და მთავრობის დადგენილებით შემოღებულია მოსწავლეთა მიღებისა და გადაყვანის მტკიცე წესი.

დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში სწავლობს 25 მილიონზე მეტი მოწაფე. არასრულ საშუალო და საშუალო სკოლას არ შეუძლია მთლიანად დააკმაყოფილოს ყველა, ვინც დაწყებითს სკოლას ამთავრებს. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 7 და 10 კლასებისათვის სპეციალური გამოცდების (ექსტერნატი) შემოღებას იმ პირთათვის, რომლებიც არ სწავლობენ სკოლაში, მაგრამ სურვილი აქვთ მიიღონ ატესტატი არასრული საშუალო ან საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ. ექსტერნატის შემოღება საგრძნობლად გააფართოვებს უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელი ახალგაზრდობის წრეს. რევოლუციამდელი რუსეთის ძველი, ბურჟუაზიულ - მემამულური სკოლა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ურთიერთობათა ზუსტი ასლი იყო. მასში ბატონობდა ჯოხის დისციპლინა, რომლის მიზანს შეადგენდა მეფის მორჩილ მსახურთა აღზრდა. მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების სკოლებში დღემდეც არ არის აღმოფხვრილი მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა. სკოლა ბურჟუაზიის ხელში ეს არის კლასობრივი ბრძოლის იარაღი, მშრომელთა დათრგუნვის იარაღი.

ჩვენს საბჭოთა სკოლაში გამარჯვებული პროლეტარიატის შეგნებული დისციპლინაა. იგი ემსახურება უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და თავისუფალ მუშაკთა, კომუნიზმის საქმის ერთგულ ადამიანთა აღზრდას. მთავრობისა და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სკოლის ყოველი ტიპის წესდების და სკოლაში და მის გარეთ მოსწავლეთა ყოფაქცევის წესების შემუშავების შესახებ წარმოადგენს იმ დისციპლინის საუცხოვო გამოხატულებას, რომელსაც პროლეტარული სკოლა ჰქმნის.

„მოსწავლეთა ყოფაქცევის წესებს საფუძვლად დაედოს დისციპლინის სასტიკად და შეგნებულად დაცვა, თავაზიანი მოპყრობა მასწავლებლებისა, ამხანაგებისა, და უფროსებისადმი, კულტურულ ჩვევათა დანერგვა, ფრთხილად მოპყრობა სასკოლო და საზოგადოებრივი ქონებისადმი, აგრეთვე ბავშვთა შორის ხულიგნობისა და ანტისაზოგადოებრივი მოქმედების გამოვლინებასთან გადამწყვეტი ბრძოლის ზომები“. საბჭოთა მოსწავლის ყოფაქცევის ნორმების ეს შესანიშნავი განსაზღვრა სავსებით შეეფერება პროლეტარული რევოლუციურობისა და შეგნებულობის იმ მაღალ თვისებებს, რომლებსაც ბოლშევიკების პარტია ზრდის და ავითარებს საბჭოთა ხალხში. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მხურვალე გამოხმაურებას ჰპოვებს ჩვენი დიდი ქვეყნის ათეულ მილიონ მშრომელთა შორის.

სკოლა - კომუნიზმის იდეათა მძლავრი გამტარებელი — წარმოადგენს მშრომელთა უფართოეს ფენებზე ზეგავლენის მძლავრ იარაღს.

(„პრავდის“ მოწინავე, 4 სექტემბერი)

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

(„საქ. ჩაის“ 1 სექტემბრის ცნობები)

საბჭოთა მეურნეობები	[illegible]	გეგმის შესრულება პროცენტობით
ლესიჭინის	3,524	158,3
ჯოლევჯიანის	[illegible]254	101,1
ქოროვის (ლაითური)	274.875	100,3
ხონის	1.958	92.6
ალიბაურის	185.189	90,3
ქობულეთის	370.000	88,3
[illegible]	140.968	83,4
ნასაკირალის	364.741	82,5
კოდორის	15.033	77,5
ჩაქვის	716.029	75,1
დიდიჭყონის	170.113	74,9
წალენჯიხის	62.347	69,9
აჩიგვარის	188.276	56,0
სულ	2.548.307	81,5

1 სექტემბრისთვის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში მოკრეფილი იყო სულ 2.075.912 ფოთოლი, მაისის - ივლისის და აგვისტოს გეგმის 92 პროცენტი.

სასწავლო მუშაობის ორგანიზაციისა და შინაგანი განწესრიგებისათვის დაწყებითსა, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლაში

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სკოლის შესახებ გამოტანილ მთელ რიგ თავის დადგენილებებში წინადადება მისცეს განსახკომებს დაეწესებინათ სკოლის ერთიანი ორგანიზაციული სტრუქტურა, განემტკიცებინათ წესრიგი და დისციპლინა მოსწავლეთა შორის, ზუსტად მოეწესრიგებინათ სასწავლო მუშაობის მთელი მსვლელობა და უზრუნველეყოთ თვითეული სკოლის ოპერატიული, კონკრეტული და დიფერენცირებული ხელმძღვანელობა.

რსფსრ-ის განსახკომი, აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომები დღევანდლამდე არადამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ პარტიისა და მთავრობის ამ უმნიშვნელოვანეს დირექტივებს. სკოლათა სამ ტიპს, რომლებიც სსრკ-ის სახკომსაბჭომ და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა დააწესეს (დაწყებითს, არასრულ საშუალოს და საშუალოს), მთელ რიგ შემთხვევებში სცვლიან „საფეხურებით“ და „კონცენტრებით“. სასწავლო გეგმები და პროგრამები ყოველწლიურად განიცდიან ცვლილებებს, რითაც ირღვევა სკოლაში მეცნიერებათა საფუძვლების გავლის სიმყარე და სისტემატურობა. ყველაფერი ეს იწვევს სასწავლო მუშაობის დეზორგანიზაციას, ორიენტაციას უკარგავს მასწავლებელს, რის გამო მოსწავლეთა ცოდნა ჯერ ისევ არადამაკმაყოფილებელი რჩება, ხოლო სკოლადამთავრებულნი ამჟღავნებენ არასაკმაო მომზადებას იმისათვის, რომ გაიარონ მეცნიერებანი უმაღლეს სკოლაში.

სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის დროს მოსწავლეებს გადამეტებულად სტვირთავენ საკლასო მეცადინეობით (6—7 გაკვეთილი დღეში), სასკოლო კვირის ცალკეულ დღეებში საკლასო გაკვეთილთა ცხრილები ზედმეტად დატვირთულია შესათავსებლად ძნელი საგნებით.

მოსწავლეთა წარმატების შეფასების სისტემა, რომელიც დაწესებულია განსახკომების მიერ, არ იძლევა წარმოდგენას მოწაფის ფაქტიურ ცოდნაზე და პრაქტიკაში იწვევს სწავლების დონის დაწევას.

განსახკომებს დღევანდლამდე არ გამოუციათ სკოლაში და სკოლის გარეთ მოსწავლეთა ყოფაქცევის წესები, შემუშავებული არ არის აგრეთვე ნორმალური სასკოლო წესდება, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს მტკიცე შინაგან განწესრიგებას სკოლაში და წარმოადგენდეს სახელმძღვანელოს სკოლის ადმინისტრაციისა, პედაგოგებისა, სასკოლო ორგანიზაციებისა და მოსწავლეებისათვის.

არადამაკმაყოფილებლად არის მოგვარებული ბავშვთა მიღება სკოლაში, მოსწავლეთა გადაყვანა კლასიდან კლასში და მათი გამოშვება. სკოლებში მიღებისას მრავალი დოკუმენტის წარმოდგენის მოთხოვნა, რაც დაწესებულია განსახკომების მიერ, ჰქმნის ზედმეტ სიძნელეებს სკოლაში ბავშვების შესვლისათვის. „ინდივიდუალური კითხვარები“, რომლებიც წინასწარ აწესებენ იმ კითხვებს, რაზედაც პასუხი უნდა გასცეს მოსწავლემ გამოცდის დროს, პრაქტიკაში იწვევენ გამოცდების მნიშვნელობის შემცირებას და არ იძლევიან ჭეშმარიტ წარმოდგენას მოსწავლეთა ნამდვილ ცოდნაზე.

განსახკომებს და მათს ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე სკოლათა დირექტორებს (გამგეებს) დღევანდლამდე არ მიუღიათ ზომები იმისათვის, რომ სკოლებში დამყარდეს სისუფთავე და გარეგნული წესრიგი, რაც წარმოადგენს მოსწავლეებში კულტურულ ჩვევათა აღზრდის ერთერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

სსრკ-ის სახკომსაბჭო და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი აღნიშნავენ: სკოლის სასწავლო მუშაობის აღნიშნული ნაკლნი მოწმობენ, რომ განსახკომებს სრულად არ ესმით სკოლის ორგანიზაციისა და განმტკიცების უმნიშვნელოვანესი საკითხები, რაც შედეგია „სკოლის კვდომის“ სულელური ანტილენინური თეორიისა, რომელიც ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სახალხო განათლების მუშაკთა თვალსაჩინო ნაწილში.

სსრკ-ის სახკომსაბჭო და საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ი ადგენენ:

I

სასწავლო წლისა და სასკოლო რეჟიმის ორგანიზაციის შესახებ

1. დაწესდეს სსრკ-ის ყველა სკოლაში სასწავლო მეცადინეობის დაწყება 1 სექტემბრიდან და მისი დამთავრება — პირველ სამ კლასში — 1 ივნისს, 4—7 კლასებში — 10 ივნისს და 8—10 კლასებში — 20 ივნისს, საზამთრო არდადეგები — 30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, საგაზაფხულო არდადეგები — 6 დღის განმავლობაში.

2. განისაზღვროს 1935-36 სასწავლო წლიდან ყოველდღიური საკლასო გაკვეთილების რაოდენობა: პირველ ოთხ კლასში — 4 გაკვეთილი დღეში (მეოთხე კლასებში დაშვებულ იქნას კვირაში ორი დღე ხუთ-ხუთი გაკვეთილით), მეხუთე-მეათე კლასებში — 5 გაკვეთილი (და ორი დღე კვირაში თითო ექვს-ექვსი გაკვეთილით). დამატებითი გაკვეთილები დაეთმოს მხოლოდ მეცადინეობას შრომასა, სიმღერასა, ხატვასა, ხაზვასა და ფიზიკურ კულტურაში.

მოკავშირე (რსფსრ-ის გარდა) და ავტონომიურ რესპუბლიკებში, აგრეთვე რსფსრ-ის არარუსულ სკოლებში დაშვებულ იქნას, მე-5 კლასიდან დაწყებული, კიდევ ერთი მეექვსე გაკვეთილი კვირაში რუსული ენისა და ლიტერატურის დამატებით შესწავლისათვის.

დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომებს, საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის სკოლათა განყოფილებასთან შეთანხმებით, დაამტკიცონ სსრკ-ის ყველა სკოლისათვის ერთიანი სასწავლო გეგმები.

გაკვეთილების ხანგრძლივობა საქალაქო და სასოფლო სკოლებში დაწესდეს 45 წუთი. დაწესდეს პირველი, მესამე და მეოთხე დასვენებათა ხანგრძლივობად — 10 წუთი, მეორისა —30 წუთი, ამასთან ცალკეულ შემთხვევებში მეორე და მესამე დასვენებათა ხანგრძლივობა დაშვებულ იქნას 20 წუთი.

3. შემოღებულ იქნას მოსწავლეთა მიღების შემდეგი წესი:

განცხადების მიღება სკოლაში ბავშვების ჩარიცხვაზე ხდებოდეს 1 ივნისიდან 1 აგვისტომდე, ხოლო ჩარიცხვა — 10-დან 25 აგვისტომდე. მოსწავლეებს, როგორც წესი, უნდა ღებულობდნენ იმ სკოლაში, რომელიც მდებარეობს მშრომელთა საცხოვრებელი ადგილის მახლობლად.

დაევალოთ სკოლათა დირექტორებს (გამგეებს) უზრუნველჰყონ ყურადღებითი და გულისხმიერი მოპყრობა მშობლისა და ბავშვისადმი, პირადად მიიღონ მშობლებისაგან დოკუმენტები, სკოლაში შემსვლელთან საუბრის გზით გამოარკვიონ საჭირო ცნობები მის შესახებ (განვითარების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა. შ.).

აიკრძალოს მოთხოვნა მშობლებისაგან, რომ მათ სკოლას წარუდგინონ საბუთები და ცნობები, გარდა კანონით დაწესებულისა (განცხადება სკოლაში მიღებაზე, ბავშვის დაბადების დოკუმენტი და ცნობა ყვავილის აცრაზე).

განსახკომებმა და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა, საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის საფუძველზე, მატერიალური პასუხისგება დააკისრონ მშობლებს ან იმ პირებს, რომელნიც პასუხისმგებელი არიან ბავშვის აღზრდისათვის, არასაპატიო მიზეზით სკოლაში ბავშვების არადროინდელად და დაგვიანებით მიბარებისათვის.

სასწავლო წლის დაწყების შემდეგ სკოლაში ბავშვების ჩარიცხვა დაშვებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (მშობლების გადაყვანა სამუშაოდ ქალაქიდან ქალაქში).

4. საშუალო სკოლათა მერვე კლასები დაკომპლექტდეს, როგორც წესი, იმათგან, ვინც ამ სკოლების მეშვიდე კლასები დაამთავრა, ამასთან მერვე კლასებში გამოიყოს ადგილების 15 პროცენტამდე სხვა სკოლათა მოსწავლეებისათვის.

5. მოსწავლენი, რომელნიც ერთი სკოლიდან მეორეში გადადიან, შესაბამის კლასში მიღებულ იქნან უგამოცდოდ. უფლება მიეცეს სკოლის დირექტორს (გამგეს) გადაიყვანოს სხვა სკოლიდან შემოსული მოწაფე დაბალ კლასში, თუ შემოსვლის დღიდან ერთი თვის განმავლობაში გამოირკვევა, რომ იგი ცოდნის დონით არ შეეფერება მოცემული კლასის პროგრამის მოთხოვნებს.

6. შესწყდეს „ინდივიდუალური კითხვარების“ არსებული უმართებულო პრაქტიკა, რომლის დროსაც მასწავლებელი წინასწარ სახავს კითხვებს თვითეული მოსწავლისათვის ცალკე და შესაბამისად ამზადებს მოწაფეს ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად. გამოსაშვები და გადასაყვანი გამოცდების ჩატარებისას უზრუნველყოფილ იქნას მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება პროგრამის სხვადასხვა განყოფილებაში.

თემებს წერითი სამუშაოებისათვის დედა-ენასა და მათემატიკაში საშუალო სკოლის გამოსაშვები გამოცდისას აწესებენ სახალხო განათლების სამხარეო და საოლქო (დიდ ქალაქებში — საქალაქო) განყოფილებანი და თავის დროზე აცნობებენ სკოლათა დირექტორებს. სკოლათა დირექტორები ამ თემებს აცნობებენ მასწავლებლებს გამოცდის დღეს.

7. იმ მოსწავლეებს, რომლებმაც საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრეს, მიეცეთ ატესტატი, ნიშნების დასმით ყველა საგანში. კლასიდან კლასში გადაყვანისას მოსწავლეებს მიეცეთ გადაყვანის მოწმობა, წარმატებისა და ყოფაქცევის შესახებ ნიშნების დასმით. ისინი, ვინც გამოსაშვები და გადასაყვანი გამოცდები ყველაზე წარმატებით ჩააბარა, დაჯილდოებულ იქნან ქებით სიგელებით. საშუალო სკოლადამთავრებულთ, რომელთაც ძირითად საგნებში აქვთ ნიშანი „ფრიად“, ხოლო დანარჩენ საგნებში (ხატვა, ხაზვა, სიმღერა, მუსიკა, ფიზკულტურა, სპორტი) ნიშანი არა უმცირეს „კარგისა“, მიეცეთ უმაღლეს სკოლაში შესვლის უფლება შესასვლელი გამოცდების ჩაუბარებლად, რაც ცალკე უნდა იყოს აღნიშნული ატესტატში.

საქ. კ.პ.(ბ) ც.კ-ის სკოლათა განყოფილებამ განსახკომებთან ერთად შეიმუშაოს და სსრკ-ის სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს სსრკ-ისათვის ერთიანი ნიმუში ატესტატისა და გადაყვანის მოწმობისა (სხვადასხვა ნაციონალურ ენაზე).

8. დაწესდეს სკოლებში მოსწავლეთა წარმატების შეფასების შემდეგი ხუთი ხარისხი (ნიშნები): 1) ძალიან ცუდად, 2) ცუდად, 3) საშუალოდ, 4) კარგად და 5) ფრიად.

დაევალოს საქ. კ.პ.(ბ) ც.კ-ის სკოლათა განყოფილებას, მოკავშირე რესპუბლიკათა განათლების სახალხო კომისრების მონაწილეობით, შეიმუშაოს მოსწავლეთა წარმატების შეფასების ნორმები, სსრკ-ის ყველა სკოლისათვის სავალდებულო, იმ ანგარიშით, რომ ცოდნის ერთიდაიგივე დონე ერთნაირად ფასდებოდეს ყველა სკოლაში.

9. დაწესდეს, რომ განსაკუთრებული ბრალისათვის მოსწავლეთა გარიცხვის უფლება ენიჭება სახალხო განათლების რაიონულ ან საქალაქო განყოფილებებს, სკოლის დირექტორის (გამგის) დასაბუთებული, აზრით წარდგენით. გარიცხულ მოწაფეთა სკოლაში მიღება ხდებოდეს ჩვეულებრივი წესით.

10. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომებს 1935-1936 სასწავლო წელს მოაწყონ დიდ ქალაქებში, პირველ ყოვლისა, მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვსა და კიევში სპეციალური სკოლები განსაკუთრებული რეჟიმით დეფექტური ბავშვებისა და იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც სისტემატურად არღვევენ სასკოლო დისციპლინას, დეზორგანიზაცია შეაქვთ სასწავლო მუშაობაში და თავისი ანტისაზოგადოებრივ ყოფაქცევით უარყოფითს გავლენას ახდენენ დანარჩენ მოსწავლეებზე. მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომებმა შეიმუშაონ ინსტრუქცია ამ სკოლებში ასეთ მოსწავლეთა გადაყვანის შესახებ.

11. ნება დართულ იქნას სპეციალური გამოცდები მე-7 და მე-10 კლასების კურსით იმ პირებისათვის, რომლებიც სკოლაში არ სწავლობენ, მაგრამ რომელთაც სურთ მიიღონ არასრული საშუალო ან საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (ექსტერნატი). მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომებმა შეიმუშაონ დებულება ექსტერნატის შესახებ.

II

სკოლის წესდებისა და მოსწავლეთა ყოფაქცევის წესების შესახებ

1. დაევალოს კომისიას ამხ.-ბის ვოლინის (თავმჯდომარე), ბუბნოვის, ხატონსკის და გერნუშევიჩის შემადგენლობით და სკოლების პრაქტიკულ მუშაკთა მონაწილეობით, შეიმუშაოს და არაუგვიანეს 1936 წლის 1 იანვრისა შეიტანოს დასამტკიცებლად სსრკ-ის სახკომსაბჭოში წესდების პროექტი სკოლების თვითეული ტიპისათვის.

წესდებას უნდა ჰქონდეს კატეგორიული და სრულიად სავალდებულო ხასიათი როგორც მასწავლებლებისა, ისე მოსწავლეებისათვის.

წესდება უნდა იყოს ძირითადი დოკუმენტი, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს თვითეული ტიპის სკოლის მიზანსა და ამოცანებს, სკოლის ორგანიზაციულ სტრუქტურას, სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და სასკოლო ორგანიზაციების უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე მტკიცედ ამყარებდეს სასწავლო რეჟიმსა და შინაგანი განწესრიგების საფუძვლებს სკოლაში და მოსწავლეთა ყოფაქცევის წესებს სკოლაში და მის გარეთ.

2. მოსწავლეთა ყოფაქცევის წესებს საფუძვლად დაედოს დისციპლინის სასტიკად, და შეგნებულად დაცვა, თავაზიანი მოპყრობა მასწავლებლებისა, ამხანაგებისა და უფროსებისადმი, კულტურულ ჩვევათა დანერგვა, ფრთხილად მოპყრობა სასკოლო და საზოგადოებრივი ქონებისადმი, აგრეთვე ბავშვთა შორის ხულიგნობისა და ანტისაზოგადოებრივი მოქმედების გამოვლინებასთან გადამწყვეტი ბრძოლის ზომები.

მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა განსახკომებმა დააწესონ და ყველა სკოლაში შემოიღონ მოწაფის ერთიანი ტიპის ბილეთი (დედა-ენაზე), სადაც აღნიშნული უნდა იყოს მოსწავლეთა ყოფაქცევის ძირითადი წესები. სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა) შემოიღონ თვითეული მოსწავლის პირადი საქმე, სკოლაში შესვლის მომენტიდან მის დამთავრებამდე.

3. დაწესდეს ტანისამოსის ერთიანი ფორმა დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის. ერთიანი ფორმა შემოღებულ იქნას, დაწყებული 1936 წლიდან, პირველ ყოვლისა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვისა და მინსკის სკოლებში.

⁂

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევენ განსახკომებს და მათს ადგილობრივ ორგანოებს—უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახონ სკოლის მდგომარეობისა და მუშაობის ინსპექტირება და სისტემატური ოპერატიული კონტროლი ორგანიზაცია და აწარმოონ შემოწმება, თუ ნამდვილად როგორ ხორციელდება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სკოლის შესახებ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

1935 წ. 3 სექტემბერი.

აშხაბად—მოსკოვის მარშრუტით ცხენებით გადარბენის მონაწილენი—ამხ. სტალინს

ძალიან გვრცხვენია შეგაწუხოთ, ამხანაგო სტალინ. მაგრამ ჩვენი გული ისე მოიწევს თქვენსკენ, რომ არ შეგვიძლია არ გამოგიმშვიდობოთ.

როცა ჩვენ, ამხანაგო სტალინ, აშხაბადიდან გამოვდიოდით, ვფიქრობდით მხოლოდ იმაზე, რომ გვეჩვენებინა ჩვენი საკოლმეურნეო ცხენების ძალა. ყარა — კალპაკიაში, კაზაკსტანში, ორენბურგის, კუიბიშევის, რიაზანის სოფლებში, ყველა კოლმეურნეობაში, რომლებიც ჩვენ გზად გავიარეთ, ვეუბნებოდით:

— გამარჯობათ. ჩვენ — თურქმენი კოლმეურნეები ვართ. ამდენი და ამდენი დღეა, რაც მოვდივართ, გავიარეთ ველები, გადახრუკული, უწყლო უდაბნოები და აი — შეხედეთ ჩვენს ცხენებს, თურქმენისტანის კოლმეურნეობათა ცხენებს!

როგორც ძმა ძმას იცნობს ხოლმე, როგორც ძმა შორიდან მოსულ ძმას შეჰხარის, ისე გვხვდებოდნენ ყარა — კალპაკიის, კაზაკსტანის, პოვოლჟიეს კოლმეურნეები.

ჩვენ ხშირად ჩავფიქრებულვართ, ამხანაგო სტალინ, იმაზე, თუ რა ხდებოდა, ამ ოცი წლის წინათ თურქმენებს ან უზბეკებს ან ყარაკალპაკებს ცხენებით რომ ემოგზაურათ რუსეთში.

მათ დაიჭერდნენ რუსი კულაკები, ხოლო ურიადნიკი საპატიმროში უკრავდა თავს:

„ცხენის ქურდები ან ყაჩაღები უნდა იყვნენო“.. იტყოდნენ.

ხოლო ახლა ჩვენ კაზაკსტანის სოფლებში, რუსეთის, ჩუვაშიის, მორდვის სოფლებში მოვდიოდით ისე, როგორც მშობლიურ კოლმეურნეობაში.

აულიდან-აულამდე, კოლმეურნეობიდან კოლმეურნეობამდე, კაზაკსტანის მთელ ველზე გავრცელდა ხმა — თურქმენი ჯიგიტები ცხენებით მოსკოვში მიდიანო.

შორიდან, ათეული კილომეტრებიდან მინდვრის გზაჯვარედინებზე მოდიოდნენ კაზაკსტანელი ქალები, მოხუცი და ახალგაზრდა კოლმეურნეები, მათ მოჰქონდათ კუმისი, მოჰქონდათ ჩაი, მოჰქონდათ გამომცხვარი პური თურქმენი ჯიგიტებისათვის, რომლებიც მიდიან იქ, სადაც განისვენებს ლენინი, სადაც ცხოვრობს სტალინი.

კუიბიშევის მხარის საზღვარზე, სოფელ მოიკაში, ცაზე გადაჭიმულ ცისარტყელასავით მხიარულ დიდ თაღთან ჩვენ შეგვხვდნენ რუსი კოლმეურნეები. ისინი ბევრნი იყვნენ — იქნებ ათასი, იქნებ მეტიც.

ტაშს უკრავდნენ. გაჰკიოდნენ „ვაშას“, ხოლო ყველაზე წინ იდგა მოხუცი ლარიონ ეაკულას ძე იაკიმოვი — ხარისხის ინსპექტორთაგან ყველაზე სახელგანთქმული მთელ ამ რაიონში.

როდესაც მივუახლოვდით, მოხუცმა აილო პურ-მარილი და წყნარად მოგვმართა:

— ჩვენო მეგობრებო, ჩვენო ძმებო...

იგი ნელა ლაპარაკობდა, და ის ამხანაგები, რომლებსაც რუსული ენა ესმით, ასწრებდნენ ყოველი სიტყვის გადათარგმნას.

ეს ისეთი სიტყვები იყო, ამხანაგო სტალინ, რომ ჩვენ მღელვარებისაგან ლამის ავტირდით.

შემდეგ კოლმეურნეობაში დიდი დღესასწაული გაიმართა.

ამგვარად მივდიოდით ჩვენ ერთი სოფლიდან მეორეში და, მთელი თურქმენისტანის სახელით, მისი ყველა კოლმეურნის სახელით სამუდამოდ დაუძმობილდით კაზაკსტანელ, რუს, ჩუვაშელ, მორდველ კოლმეურნეებს. ეს არაფერია, რომ ჩვენ არ ვიცოდით მათი ენა და მათ არ იცოდნენ ჩვენი ენა. მაგრამ ისინი ამბობენ „ლენინ“. — ჩვენც ვამბობთ „ლენინ“, ისინი ამბობენ „სტალინ“, ჩვენც ვამბობთ „სტალინ“, მათ ენაზე — „კოლხოზი“, ჩვენს ენაზედაც „კოლხოზია“ ამიტომ ჩვენ გვესმოდა ერთმანეთი, ვგრძნობდით ერთმანეთს, და მღელვარებაც დიდი იყო, გული იწვოდა, ხოლო ვინც უფრო ხნიერი იყო, ვისაც რევოლუციამდე უგემნია მწუხარება, მას თვალები მონამული ჰქონდა.

ვინ მოიტანა ამ ქვეყნად ეს დიადი მეგობრობა? ვინ დაუნათესავა ერთმანეთს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები?

დიდება ამხანაგ ლენინს!

დიდება ამხანაგ სტალინს! დიდება ჩვენს კომუნისტურ პარტიას!

მოსკოვთან ჩვენ თავს დაგვტრიალებდნენ თვითმფრინავები, აქა-იქ გამართული იყო მხიარული თაღები, ადამიანები ჩამოფრინდებოდნენ ხოლმე, ჩვენთან პარაშუტებით და გვთავაზობდნენ ყვავილებს, ჩვენი ძმები—მუშები გვართმევდნენ ხელს, გვეხვეოდნენ და გვეუბნებოდნენ:

გილოცავთ!

და ჩვენი — თურქმენისტანის გამარჯვება მთელი საბჭოთა მიწის სიხარულად გადაიქცა.

ის, რაც ჩვენ მოსკოვში ვნახეთ და ის, თუ რა პატივი დაგვცეს ამხანაგებმა მოლოტოვმა, კაგანოვიჩმა, კალინინმა და ვოროშილოვმა, რომლებთანაც ჩვენ ვისაუბრეთ სხვადასხვა საქმეზე ისე, როგორც ჩვენს ბრიგადირებთან, ჩვენს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან ვსაუბრობთ ხოლმე, ყოველივე ეს თქვენ იცით, ამხანაგო სტალინ.

თქვენი წერილი ჩვენ დილით ადრე მივიღეთ.

რას ვგრძნობდით, რას ვფიქრობდით, როცა თარჯიმნებმა წაგვიკითხეს ეს წერილი?

ჩვენ ყველას თითქოს სიმაღლე მოგვემატა, თითქოს ბევრად უფრო ახალგაზრდა, ძლიერი, ლამაზი გავხდით და ყოველმა ჩვენგანმა თავის გონებაში ასეთი სიტყვებით მოგმართა:

„იცოდე, ძვირფასო, რომ არ არსებობს ისეთი საქმეები, არ არსებობს ისეთი გმირობა, რომლებსაც არ ჩაიდენს თურქმენისტანის მშრომელი ხალხი, თუ შენ და შენი პარტია მას ამისათვის მოუწოდებთ. როგორც ნიაღვარი გადმოჰხეთქს ხოლმე ციცაბოებიდან, ისე ეკვეთება თურქმენისტანი მტერს პარტიის საქმისათვის, ჩვენი, ჩვენი შვილების და ჩვენი შვილიშვილების ბედნიერებისათვის“.

ამხანაგო სტალინ! ჩვენ მივდივართ შინ, თურქმენისტანში.

ჩვენს საკოლმეურნეო აულებში ჩვენ მოუთხრობთ ჩვენს ბელადებზე, ჩვენს ძმათა — მუშათა და კოლმეურნეთა მილიონებზე, მოსკოვის ფაბრიკებსა და ქარხნებზე, სასახლეებზე, მიწისქვეშა რკინისგზაზე, წითელარმიელებთან და მუშებთან შეხვედრასა და საუბრებზე, ჩვენი სოციალისტური მიწაწყლის ძალასა და სიდიადეზე.

ხოლო თქვენი წერილი, ამხანაგო სტალინ, ნება გვიბოძეთ ჩავთვალოთ მთელი საკოლმეურნეო თურქმენისტანისათვის გაგზავნილ წერილად, იმ თურქმენისტანისათვის, რომელმაც გამოგზავნა ცხენებით გადარბენაზე. ბამბის მინდვრებზეც, საძოვრებზეც, სადაც ჩვენ ბედაურებს, ვკვებავთ, ყველგან, მთელს ჩვენს შრომითს ცხოვრებაში, ეს წერილი ჩვენთვის იქნება ახალ-ახალ გამარჯვებათა დროშა.

იცოცხლეთ, ძვირფასო, კიდევ მრავალ-მრავალ წელს, ყველაზე მეტად გაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას და იცოდეთ, რომ ჩვენ, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეს შევსწირავთ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს.

აშხაბად - მოსკოვის მარშრუტით ცხენებით გადარბენის მონაწილენი.

ქვანახშირის მრეწველობის ფრიადოსანთა მიმართვა

სტალინო, 3 სექტემბერი. ქვანახშირის მრეწველობის საუკეთესო, ორდენოსანმა მემაღაროელებმა მიმართეს დონბასის ქვანახშირის ყველა მუშას მოწოდებით,—ჩაებან ოქტომბრის მე-18 წლისთავის საწარმოო ლაშქრობაში, რომელიც მაკეეველთა თაოსნობით ეწყობა. მიმართვაში ისინი სწერენ:

— ჩვენ ვფიქრობთ, დონბასის ბევრ შახტს შეუძლია ისე მოუმატოს ნახშირის ამოღებას, რომ ოქტომბრის მე-18 წლისთავზე გამოვიდეს პატაკით წლიური გეგმის ვადაზე ადრე შესრულების შესახებ. 68 მილიონი ტონა ნახშირით გავსცეთ პასუხი პარტიასა და მთავრობას იმ მაღალი ჯილდოსათვის, რითაც აღნიშნა შარშან ქვანახშირის მუშაკთა მუშაობა (ტას).

—○○—

საკავშირო ველოგადარბენა

ხარკოვი, 3 სექტემბერი. გუშინ საღამოს ხარკოვს ჩამოვიდნენ დიდი საკავშირო ველოგადარბენის მონაწილენი. გადარბენა, რომლის მანძილი 12 ათასი კილომეტრია, მოწყობილია თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ.

გადარბენაში მონაწილეობს 70 მეთაური, კურსანტი და წითელარმიელი. მათ უკვე გაიარეს 9.300 კილომეტრი შემდეგი მარშრუტით: ლენინგრადი—ნოვგოროდი—მოსკოვი—გორკი—ყაზანი— სვერდლოვსკი — კუიბიშევი, პენზა — სტალინგრადი — სოხუმი — როსტოვი — ხარკოვი. კიდევ უნდა გაიარონ: ხარკოვი — კიევი — მინსკი — მოსკოვი.

საქართველოს ეროვნული

მეგობრის ხსოვნას

რომენ როლანი

ერთი თვის წინათ, 23 ივლისს, ბარბიუსს ვარშავაში შევხვდი. მე მოსკოვიდან ვბრუნდებოდი, ის კი იქ მიდიოდა. ის აღსავსე იყო სიხარულით. მას უხაროდა პარიზის ხალხის დიადი გამოფხიზლება 14 ივლისის დღესასწაულზე, რასაც იგი დაესწრო, უხაროდა, რომ მცირე ხნით (მისი ანგარიშით — ორი კვირით) მიემგზავრებოდა საბჭოთა კავშირში, რომელიც მისთვის (ახლა კი ჩემთვისაც) აღთქმული ქვეყანა იყო.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მას ვიცნობდი (მე კი მას ვიცნობდი ომის დამთავრების დროიდან), არასოდეს ასე მხიარული და ჯანსაღი არ მინახავს. ის თითქოს გაახალგაზრდავებულიყო. იგი ამას გრძნობდა, ამაზე ლაპარაკობდა. მზრუნველმა მოვლამ, მკაცრმა თვითდისციპლინამ (მას ეყო ნებისყოფა თავი დაენებებინა თამბაქოსთვის) მას ახალი ენერგია შესძინა. მაგრამ იგი, უეჭველია, ბოროტად იყენებდა ამ ენერგიას.

ის არასოდეს არ ზოგავდა თავის სიცოცხლეს. ომის დამთავრებიდანვე მისი ორგანიზმი გაღრღნილი იყო ავადმყოფობისგან. მაგრამ რას არ აკეთებდა იგი! რა მძიმე შრომას ასრულებდა ეს გამხდარი სხეული! დედამიწის რა კუთხეში არ ჩნდებოდა იგი, მოხეტიალე რაინდივით, რომელიც წელში მოუხრია საჭურველის სიმძიმეს, და „ჯვაროსნულ ლაშქრობას" აწყობდა მთელ მსოფლიოში სოციალური ჩაგვრის, იმპერიალიზმის, რასიზმის, ომის წინააღმდეგ.

მე აღტაცებული ვიყავი, როდესაც ის დაბრუნდა შორეული ქვეყნებიდან და მესტუმრა განმარტოებაში მყოფს, შვეიცარიაში. აღტაცებაში მოვყავდი მას, როდესაც იგი მიემგზავრებოდა ამსტერდამს ომის საწინააღმდეგო კონგრესზე, სადაც ადამიანები, რომლებმაც ნახეს, როგორ ბრძოდა იგი ტრიბუნაზე, შიშით ფიქრობდნენ: „ამ ადამიანს დიდი დღე აღარა აქვსო". მაგრამ მისი სიტყვა აღსავსე იყო სიძლიერით და აზრის სიცხადით. მან ბოლომდე ზიდა თავისი მოხრილი, მაგრამ მაგარი მხრებით კონგრესის თავმჯდომარის მძიმე მოვალეობა და კონგრესის დამთავრების შემდეგ მრავალი თვის განმავლობაში განაგრძობდა მუშაობას დასახული საქმის განსახორციელებლად, იგი ცხოვრებაში ატარებდა მიღებულ რეზოლუციებს და ავრცელებდა ყველა ხალხში საბრძოლო მოწოდებას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

ახლა დრო არ არის ვილაპარაკოთ დიდი მწერლის ლიტერატურულ ნაწარმოებებზე. მის ცხედართან ამის დრო არა გვაქვს. მაგრამ ჩემს მეხსიერებაში ცოცხლდება მისი ძირითადი ნაწარმოები, ის, რაც მწვერვალად დარჩება მისი შემოქმედებაში, — „ცეცხლი", ნაწარმოები, რომელიც სისხლიან და ტალახიან სანგრებში დაიბადა. და მე მაოცებს რა სიძლიერითა და სიცხადით არის უკვე აქ გამოხატული ძირითადი პრინციპები, რომლებზედაც აგებული იყო ბარბიუსის მუშაობა მისი ცხოვრების უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე: პირველი — აღმოჩენა, როგორც ის სწერს, დიადი რეალობისა, აღმოჩენა, რომელიც მოახდინა პიკარდიელმა „პუალუმ" და რომელიც მეტყველებს, რომ ნამდვილი განსხვავება, რაც აშორებს ადამიანებს ერთმანეთისაგან და აიძულებს მათ ერთმანეთის წინააღმდეგ გამოვიდნენ, როგორც მტრები, ეს არის არა რასათა განსხვავება, არამედ კლასთა განსხვავება, განსხვავება მყვლეფელთა და გაყვლეფილთა შორის, ხოლო მეორე — მხურვალე სურვილი ყველა ქვეყნის პროლეტარების გაერთიანებისა პარაზიტთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

იმ მომენტიდან, რაც ბარბიუსი სისხლით და ტანჯვით მივიდა ამ ჭეშმარიტებამდე, არასოდეს არ შეუწყვეტია მისთვის ბრძოლა. არასოდეს არ გადაუხვევია ამ ძირითადი ხაზიდან და მას ხვდა ბედნიერება ეხილა, თუ როგორ ფართოვდებოდა მის მიერ სულჩადგმული მძლავრი მოძრაობა, აზვირთებულ მდინარის მსგავსად, რომელსაც მთელი დედამიწიდან ერთვიან შენაკადები.

მისი მშვენიერი სიცოცხლე შესწყდა წითელ მოსკოვში, — იქ, სადაც კრემლის კედლის ძირთან აღმართულია ჩვენი მასწავლებლის ლენინის მავზოლეუმი, — ლენინის, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია.

ვილნევი, 30 აგვისტო.

უკანასკნელი გამოთხოვება

მინსკი, 3 სექტემბერი. სადგურზე თავი მოიყარა მინსკის ათასობით მშრომელებმა, რათა უკანასკნელი „მშვიდობით" ეთქვათ საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეგობრის — ანრი ბარბიუსისათვის. პერონზე არიან ბელორუსიის მთავრობის წევრები, მწერლები, სტუდენტები, მუშათა დელეგაციები, ბელორუსიის №-ის დივიზიის მეომართა საპატიო ყარაული. რადიო იუწყება მატარებლის მოახლოვებას. 11 საათსა და 45 წუთზე გაისმის შოპენის სამგლოვიარო მარში და პერონს ნელა უახლოვდება ტრანსციმბირის ექსპრესი. დიდი მებრძოლის კუბოს თავზე იხრება შავარშიაშემოვლებული დროშები, დამსწრენი ქუდებს იხდიან. კუბო შეამკეს გვირგვინებით ბელორუსიის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მინსკის საქალაქო კომიტეტისაგან, ბელორუსიის პროფსაბჭოსაგან. ბელორუსიის მწერალთა სახელით კუბო გვირგვინით შეამკო რესპუბლიკის სახალხო პოეტმა იაკუბ კოლასმა. 12 საათზე და 5 წუთზე მატარებელი გავიდა ნეგორელოესაკენ. მატარებლის გასვლისას მუსიკა ასრულებდა „ინტერნაციონალს" (ადს).

ანრი ბარბიუსის ცხედრის გაცილება

ნეგორელოე, 3 სექტემბერი. ექსპრესმა ჩაიარა ბელორუსიის სოფლებსა და ქალაქებს. ყველა სადგურზე იმ ვაგონთან, რომელშიაც ანრი ბარბიუსის ცხედარი ასვენია, მოდიოდნენ მუშები, კოლმეურნეები, პიონერები. ისინი მინდვრის ყვავილებისაგან გაკეთებული გვირგვინებით ამკობდნენ საბჭოთა კავშირის მეგობრის კუბოს. ექსპრესი მივიდა ნეგორელოეს სასაზღვრო სადგურზე. სამი კვირის წინათ ანრი ბარბიუსმა აქ უკანასკნელად შემოსდგა ფეხი საბჭოთა ქვეყნის მიწაზე. პერონზე გამწკრივებული დგას სანაპირო რაზმელთა საპატიო ყარაული. მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს. მუშებმა, სანაპირო რაზმელებმა, კოლმეურნეებმა, პიონერებმა კუბო გვირგვინებით შეამკეს.

დაიწყო სამგლოვიარო მიტინგი. მუშა ქალმა ამხ. ჩერკოვამ სამძიმარი გამოუცხადა საფრანგეთის კომპარტიას და საფრანგეთის მთელ ხალხს. ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო კომიტეტის სახელით ლაპარაკობს ამხ. რაბარი, გამოდიან ამხ. სტასოვა და ვიშნევსკი.

მატარებელი გავიდა, მაგრამ სამგლოვიარო ვაგონზე ჯერ კიდევ დიდხანს მოჩანდა წარწერა: „მშვიდობით, საბჭოთა კავშირის მშრომელთა საიმედო მეგობარო, ანრი ბარბიუს!".

სტოლბცის სადგურამდე (პოლონეთი) ბარბიუსის ცხედარი გააცილა საბჭოთა დელეგაციამ ამხ. სტასოვას, ვიშნევსკის და სტეცკის შემადგენლობით (ადს).

კომუნისტების მასობრივი გამოსვლები და დემონსტრაციები

ვარშავა, 3 სექტემბერი. როგორც „აბც" იუწყება, ახალგაზრდობის მე-21 საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 1 და 2 სექტემბერს, ვარშავაში გაიმართა კომუნისტების მთელი რიგი მასობრივი გამოსვლები და დემონსტრაციები.

პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს და მრავალი კაცი დააპატიმრა. გარდა ამისა, გაზეთი იუწყება, რომ ქალაქის მთელ რიგ პუნქტებში კომუნისტურ ფურცლებს ჰფანტავდნენ (ადს).

ჩინეთის წითელი არმიის გამარჯვება

ბეიპინი, 2 სექტემბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ოფიციალური ცნობები ადასტურებენ, რომ ჩინეთის წითელმა არმიამ ხოლუნის სარდლობით აიღო ქალაქები შიმინი, ანფუ (ლინლი), ლი და მინში, (ხუნანის პროვინციის ჩრდილო ნაწილში). ეს ქალაქები აღებულ იქნა იმ დროს, როცა ხო ლუნის არმია დუნტინის ტბისაკენ მიიწევდა (ადს).

ლავალის საუბარი სტოიადინოვიჩთან

პარიზი, 3 სექტემბერი. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, რომელიც გუშინ ლავალმა გაუმართა პარიზში ჩამოსულ სამხრეთ-სლავიის პრემიერ სტოიადინოვიჩს, ლავალმა და სტოიადინოვიჩმა პრესის წარმომადგენლებს შემდეგი განუცხადეს: „ჩვენ ვესაუბრეთ სტოიადინოვიჩს, რომელიც აგრეთვე მცირე ანტანტის თავმჯდომარეა, — განაცხადა ლავალმა, — ყველა საკითხზე, რაც კი დაკავშირებულია მოლაპარაკებასთან ცენტრალური ევროპის პაქტის დადების ირგვლივ". ლავალმა, ხოლო მერე სტოიადინოვიჩმაც თავის განცხადებებში განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნეს საფრანგეთის და სამხრეთ-სლავიის ტრადიციული მეგობრობა.

როგორც პრესა აღნიშნავს, სტოიადინოვიჩმა ლავალთან საუბარში გამოთქვა შიში თუ აბისინიასთან ომი მოხდა, იტალიის საგრძნობი ძალები აფრიკაში გაიგზავნება და ამიტომ „ავსტრიის დამოუკიდებლობის დაცვა" მთლიანად მცირე ანტანტას და, უწინარეს ყოვლისა, სამხრეთ სლავიას დააწვება. სტოიადინოვიჩი, გაზეთების სიტყვით, ამასთან მოითხოვდა, რომ დუნაის პაქტში, გარდა კონსულტაციისა და ჩაურევლობის ვალდებულებებისა, შეეტანათ ავსტრიის დამოუკიდებლობის დამრღვევთა წინააღმდეგ ურთიერთდახმარების ფორმულა.

„ეურის" სიტყვით, სტოიადინოვიჩის დარბაზობას, კერძოდ, ის მნიშვნელობა აქვს, რომ სამხრეთ-სლავია, გერმანიის ყოველგვარი მანევრის მიუხედავად, საფრანგეთ - სამხრეთ-სლავიის კავშირის ერთგული რჩება.

იტალია ხანგრძლივი ომისათვის ემზადება

რომი, 3 სექტემბერი. სამრეწველო წრეების გაზეთი „ილ სოლე" აქვეყნებს განცხადებას, რომელიც შუქსა ჰფენს იმას, თუ რა პერსპექტივების იმედი აქვთ იტალიის წრეებს. „1915 წელს, — სწერს გაზეთი, — ამბობდნენ, ომი სამ თვეს გასტანსო, 1935 წელს, როცა ფაშისტური მთავრობა კოლონიურ ოპერაციას იწყებს, უყოყმანოდ ლაპარაკობს სამი წლის ომის შესახებ".

ლავალის თათბირი იდენთან

პარიზი, 3 სექტემბერი. გუშინ საღამოს ლავალს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა პარიზს ჩამოსულ იდენთან. გუშინვე საღამოს იდენი და ლავალი გაემგზავრნენ ჟენევაში.

პარიზის მოლაპარაკება ეხებოდა ერთა ლიგის სხდომას, იტალია-აბისინიის კონფლიქტთან დაკავშირებით. იდენმა ლავალს განუცხადა, რომ ინგლისის მთავრობა ოდნავადაც არ არის პასუხისმგებელი რიკეტის საქმეებისათვის, ამასთან აღნიშნა, რომ კონცესია ამერიკის ხაზინადოებას მიეცა. იდენი ამტკიცებდა, თვითონ რიკეტი მოქმედებდა „მხოლოდ როგორც შუამავალი". შემდეგ იდენმა აღნიშნა, რომ ეს საქმე გავლენას ვერ მოახდენს ინგლისის პოზიციაზე ჟენევაში; ინგლისი წინანდებურად მოითხოვს პატივი სცენ ერთა ლიგის პრინციპებს.

ამ საუბარს საბოლოო შედეგები არ მოჰყოლია. საუბარი გაგრძელდება ჟენევაში. მაგრამ მთელი რიგი ნიშნები მოწმობენ, რომ იდენმა ვერ დაუახლოვა ლავალი თავის თვალსაზრისს. პირიქით, საფრანგეთი ამჟამად კიდევ უფრო დაჟინებით განაგრძობს „შუამავლის" როლს. ე. ი. როგორც საფრანგეთის ოფიციოზური პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, შეეცდება, რომ იტალია-აბისინიის კონფლიქტი კოლონიური ექსპედიციის ფარგლებით შეზღუდოს. ყოველ შემთხვევაში, როგორც „ტანი" დღეს მოწინავე სტატიაში აცხადებს, ლაპარაკიც კი არ შეიძლება სანქციებზე იტალიის წინააღმდეგ.

ლავალი და იდენი პარიზის თათბირზე შეეხნენ აგრეთვე ერთა ლიგის საბჭოს სხდომის პროცედურის საკითხს.

აბისინიის კონცესია და ინგლისის პოზიცია

ლონდონი, 3 სექტ. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური მიმომხილველი სწერს: როცა ინგლისის ელჩმა ადის-აბებაში გაიგო, რომ კომპანია, რომელმაც ნავთობის ამოღების კონცესია მიიღო, წმინდა ამერიკულია, აღარ გადასცა აბისინიის იმპერატორს ინგლისის მთავრობის რჩევა — შეეჩერებინა კონცესიაზე მიღწეული შეთანხმების მოქმედება. მიმომხილველი დასძენს, რომ ინგლისის მთავრობამ ინგლისის ელჩს ადის-აბებაში გაუგზავნა ახალი ინსტრუქციები, რომლებითაც ავალებს აცნობოს აბისინიის მთავრობას ინგლისის მთავრობის თვალსაზრისი. ბრიტანეთის თვალსაზრისი ისაა, სწერს მიმომხილველი, რომ აბისინიის იმპერატორმა „აჩქარებული მოქმედებით სერიოზულად ავნო თავის პოზიციას იტალიასთან წამოჭრილ კონფლიქტის საკითხში". მიმომხილველის სიტყვით, აბისინიის მთავრობის მოქმედებას იმგვარადაც ხსნიან, ვითომ აბისინია მზად იყოს აწარმოოს „ღია კარების" პოლიტიკა უცხოეთის სავაჭრო ფირმების მიმართ (ადს).

იტალია-აბისინიის კონფლიქტის გარშემო

ლონდონი, 2 სექტემბერი. ადის-აბებიდან იუწყებიან, რომ აბისინია სერიოზულად ემზადება დაიცვას თავი იტალიის თავდასხმისაგან.

დირედავადან (ჯიბუტი - ადის-აბებას რკინის გზაზე) ადის - აბებასა და ჯიბუტში გაგზავნეს რკინისგზის მოძრავი შემადგენლობა, ვინაიდან დირედავა სახიფათო ადგილს წარმოადგენს საჰაერო თავდასხმისათვის.

ხარარიდან ოგადენისაკენ გაგზავნეს 25.000 რეგულარული და 50.000 არარეგულარული ჯარისკაცი. არარეგულარულ ჯარებს ეძლევათ სამხედრო მასალები, მაგრამ ბევრ შემთხვევაში, სამხედრო მასალის ნაკლებობის გამო, თითო კაცზე მხოლოდ ოც ვაზნას აძლევენ.

იტალიის ოფიციალური წრეები უარყოფენ

ლონდონი, 2 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო რომიდან იუწყება, რომ იტალიის წრეებში უარყოფენ ცნობას, რომლის მიხედვითაც იტალიის 2.500 ჯარისკაცმა გადალახა ერიტრეის საზღვარი და შევიდა დანაკილის ოლქში — აბისინიაში (ადს).

ინგლისის პროფკავშირების ყრილობა

მარგეიტი, 3 სექტემბერი. დღეს, ისე როგორც გუშინ ინგლისის პროფკავშირთა ყრილობაზე მთელი რიგი დელეგატები თავის გამოსვლებში აკრიტიკებდნენ გენერალურ საბჭოს იმისათვის, რომ იგი არ იჩენს ინიციატივას ინგლისის პროლეტარიატის სხვადასხვა რაზმის კლასობრივ ბრძოლისათვის დახმარების გაწევაში. კამათში განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ გენერალური საბჭო იცავდა უმუშევრობის ახალ კანონს. ხანამ არ აზვირთდა ერთიანი ფრონტის დემონსტრაციების მძლავრი ტალღა, რომელმაც აიძულა მთავრობა მოეხსნა—ეს კანონი. გენერალური საბჭო თავის ხაზს ამართლებდა იმით, რომ „არ შეგვეძლო ჩვენს რწმუნებათა ფარგლებს გადავცილებოდით".

დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიცია დაადგა დღეს გენერალური საბჭო, როცა იხილავდნენ ეგრედწოდებულ „შავ ცირკულარს" იმის შესახებ, რომ კომუნისტები არ დაუშვან არჩევით თანამდებობაზე პროფკავშირებში. ამ საკითხის განხილვა 3 საათს გაგრძელდა. გენერალური საბჭოს წარმომადგენლები—სიტრინი, ბოკსი და სხვები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ გენერალური საბჭოს მოვალეობაა—„იდგეს პროფკავშირთა მთლიანობის სადარაჯოზე", რომლებსაც კომუნისტები, ვითომ, „ხთიშავენ და აძლურებენ".

პროფკავშირთა მთელი რიგი გენერალური მდივნები გამოვიდნენ ცირკულარის წინააღმდეგ, რომელიც არღვევს პროფკავშირულ დემოკრატიას. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა რიგითი მაღაროელის არტურის (სამხრეთ უელსი) და ფიგინსის (რკინიგზელთა პროფკავშირი) გამოსვლებმა. მათ განაცხადეს, რომ მუშები საწარმოებში კომუნისტებს იცნობენ, როგორც მუშათა კლასის ინტერესებისა და პროფკავშირთა განმტკიცებისათვის უდრეკად აქტიურ მებრძოლებს.

მაგრამ კენჭისყრის დროს, რაც ეგრედწოდებულ „სამანდატო სქემის" მიხედვით მოხდა, ე. ი. როცა თვითეული დელეგატი კენჭისყრაში მონაწილეობს იმ კავშირის ყველა წევრის სახელით, რომლის წარმომადგენელიც იგი არის,—გენერალურმა საბჭომ გაიმარჯვა. წინადადება, რომ უკუგდებულ იქნას ანგარიშის განყოფილება „შავი ცირკულარის" შესახებ, უარყოფილი იქნა 1.869 ათასი ხმით 1.427 ათასი ხმის წინააღმდეგ. რეზოლუცია, რომელიც ჰგმობს „შავ ცირკულარს" უარყვეს 1.944 ათასი ხმით 539 ათასი ხმის წინააღმდეგ (ადს).

ტვირთბრუნვა ბათომის ნავთსადგურში

ბათომის ნავთსადგური ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია საბჭოთა კავშირში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, 1902 წელს ეს ნავთსადგური ტვირთბრუნვის მხრივ იძლეოდა კარგ მაჩვენებლებს. 1902 წელს ტვირთბრუნვამ 1.759.163 ტონას მიაღწია, ხოლო შემდგომ წლებში განუწყვეტლივ კლებულობდა და 1921 წელს ნავთსადგურის ტვირთბრუნვა 113.131 ტონას უდრიდა.

1921 წლიდან ნავთსადგურზე გაიშალა ფართო მუშაობა და 1928 წელს ტვირთბრუნვა 2.288.024 ტონას უდრიდა, 1934 წ.—4.979.389 ტ. ხოლო წელს მხოლოდ ორი კვარტალის განმავლობაში ტვირთბრუნვა 2 მილიონ ტონამდე აღწევს.

ნავთსადგურის განვითარების სწრაფ ტემპებს თან მოჰყვა ახალი კაპიტალური მშენებლობა ნავთსადგურში.

კაპიტალური დაბანდება 1931 წელს უდრიდა 696.176 მანეთს, 1932 წელს 643.874, 1933 წ. 520.096 და 1934 წ. 351.902 მანეთს.

რეკონსტრუქციის შემდეგ ბათომის ნავთსადგური თავისუფლად ღებულობს დიდ საოკეანო ნავთჩასასხმელ გემებს 10—15 ათასი ტონა წყალწყვით, ნაცვლად 4—5 ათასი ტონისა და მთლიანად აითვისა ტვირთბრუნვა, რომელიც 4-ჯერ აღემატება ომის წინადროინდელ უფრო დაძაბული წლების ტვირთბრუნვას.

სურათზე: საოკეანო გემი ბათომის ნავთსადგურში (საქ. კორ.).

დაარსდა ამხ. ვ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა

(ტელეგრაფით „კომუნისტის" რედაქციას ბაღდათიდან).

ჩვენ, ზედა დიმის მშრომელ გლეხთა 30 მეურნეობამ მტკიცედ გადავწყვიტეთ დავადგეთ კოლექტიური შრომის გზას. ამ მიზნით დავაარსეთ ამხ. ვ. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა და ვიძლევით პირობას, რომ საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ნიჭიერ ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას და თვით ამხ. ბაქრაძის დახმარებით სტალინური წესდების საფუძველზე გავხდებით შეძლებულნი და კოლმეურნეობასაც გავხდით ბოლშევიკურად.

კოლმეურნეთა კრების დავალებით საბჭოს თავმჯდომარე
გეგეშიძე
კოლმეურნეობის თავმჯდომარე
ზირაქიძე

800 კილო გერანის ზეთი

გერანის ზეთი ძვირფასი და აუცილებელი ნედლეულია საპარფიუმერიო მრეწველობისათვის. დიდი ხნის განმავლობაში გერანის ზეთი საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა. მხოლოდ გერანის კულტურის ჩვენში ათვისების შემდეგ, საბჭოთა კავშირი განთავისუფლდა საზღვარგარეთიდან გერანის ზეთის შემოტანის აუცილებლობისაგან.

გერანის პლანტაციები უმთავრესად არის აფხაზეთში. ამ კულტურამ უკვე მოიპოვა მტკიცე საფუძველი ისეთ ძვირფას კულტურებს შორის, როგორიც არის ჩაი და თამბაქო.

წელს გერანის ზეთის საბჭოთა მეურნეობები და აფხაზეთის კოლმეურნეები იღებენ გერანის უჩვეულო მოსავალს. უკვე ამჟამად აფხაზეთში გამომუშავებულია 800 კილო გერანის ზეთი გეგმით გათვალისწინებული 465 კილოს ნაცვლად. ზეთის გამომუშავება გრძელდება. პროდუქციის ხარისხი მაღალია.

საკომისიო მაღაზიები და ფარდულები

ა.-კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის დირექტივით საკომისიო მაღაზიების ქსელი ადგილებზე გადაეცა სახელმწიფო ვაჭრობას. აღნიშნული მაღაზიები საკომისიოდ მიიღებენ განსაკუთრებით ინდივიდუალური პიროვნებებისაგან ფართო მოხმარების საგნებს. (ფეხსაცმელს და ტანისამოსს) და საოჯახო ავეჯს (ჭურჭელს, სამუსიკო ინსტრუმენტებს და სხვ.).

დიდ ცენტრებში გაიხსნება საკომისიო ფარდულები ბაზრებზე.

საქართველოს შინავაჭრობის სახკომისარიატის გადაწყვეტილებით საქართველოში იმუშავებს 5 საკომისიო მაღაზია და 2 საბაზრო ფარდული. აქედან 2 მაღაზია და ერთი ფარდული ტფილისში, თითო მაღაზია ბათომში, სოხუმში და ქუთაისში და ერთი საბაზრო ფარდული ბათომში.

სანაპირო ქუჩის გამწვანება.

მთავრდება მუშაობა სანაპირო ქუჩის პირველი რიგის გამწვანებისათვის.

სურათზე: სანაპირო ქუჩის პირველი რიგის გამწვანებული ნაწილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილი სამრეწველო ცენტრებს

წელს სამხრეთ - ოსეთის კოლმეურნეები [illegible] მოსავალს იღებენ. ვაშლის კრეფა უკვე დაიწყო. ბაქოში ნავთის მრეწველობის მუშებს გაეგზავნა პირველი პარტია — რამდენიმე ვაგონი მაღალხარისხოვანი ვაშლი „აპორტი".

სამხრეთ - ოსეთი სამრეწველო ცენტრების მუშებს წელს რამდენიმე ათას ტონა ხილს მიაწოდებს. მხოლოდ „ხილბოსტანის" სისტემის ხაზით დაამზადებენ 2 ათას ტონაზე მეტ ვაშლს. სამრეწველო ცენტრებში იგზავნება საუკეთესო ხარისხის ვაშლი: „კანადური რანეტი" („ანტონოვკა") — 300 ტონა, „ზოლიანი შაფრანი"—350 ტონა, „შამპანური რანეტი" 400 ტონა და სხვა ჯიშები.

სამხრეთ - ოსეთის ხილი ეგზავნება სამრეწველო ცენტრებს მოსკოვს, ლენინგრადს, ბაქოს, ტფილისს, სვერდლოვსკს, დნეპროპეტროვსკს, ხაბაროვსკს, ვლადივოსტოკს, გორკის, სტალინგრადსა და მაგნიტოგორსკს.

კინო

„პეტერ"

საქკინომ მიიღო ახალი საზღვარგარეთული სურათი „პეტერი"; რეჟისორი გერმან კოსტერლიცი, მთავარ როლში ცნობილი მსახიობი ქალი ფრანჩისკა გაალი.

ფილმის შინაარსია ვაჟურად გადაცმული ახალგაზრდა ქალის მხიარული თავგადასავალი. სურათი ნაჩვენები იყო პირველ საბჭოთა კინო-ფესტივალზე.

„მფრინავი მღებავი"

საქართველოს კინომრეწველობის ოპერატორმა კანდელაკმა სახკინმრეწვის პირველი სამხედრო-თავდაცვითი ფილმის „მფრინავი მღებავისათვის" თვითმფრინავიდან გადაიღო იალბუზის, უშბას და სხვა მწვერვალების სურათები. მიღებულია საუცხოო ფოტოგრაფიები.

სპორტი

ტსოკ — სატყეო ინსტიტუტი

6 სექტემბერს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობენ ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის და ა.-კ. სატყეო ინსტიტუტის გუნდები.

★

დღეს, 5 სექტემბერს, ტფილისის ფიზკულტურის საბჭოს ჩოგბურთის მოედანზე იწყება საქალაქო შეჯიბრება ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ყველა კატეგორიის 100 ჩოგბურთელი.

ჭადრაკი

მოჭადრაკე ქალთა სრ. საქართველოს ტურნირი

2 სექტემბერს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის საზაფხულო საჭადრაკო პავილიონში გაიხსნა მოჭადრაკე ქალთა სრულიად საქართველოს ტურნირი.

ტურნირში მონაწილეობენ ტფილისელი მოჭადრაკენი კრეზბერგი, სოროკინა, მარქაროვა, ცეიდლერი და ზარგარიანი. გარდა ამისა, ტურნირში მონაწილეობას იღებს აჭარისტანის ჩემპიონი ქალი, ამხ. კალე.

მწერალთა კავშირში

8 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში, (მაჩაბლის ქ. № 13), საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პარტპროპაგანდის, აგიტაციის და ბეჭდვითი სიტყვის განყ. გამგე ამხ. ერ. ბედია მწერალთა აქტივთან ჩაატარებს საუბარს ამხ. ლ. ბერიას მოხსენების შესახებ —„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის".

მწერალთა კავშირის წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

პარტკალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) ტფ. ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი იუწყება, რომ 5 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის კაბინეტში შესდგება კონსულტაცია პროპაგანდისტებისათვის ამხ. ბერიას მოხსენების მეორე განყოფილების მეორე ნაწილზე.

— საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია წინადადებას აძლევს ამხ. მარიამ ფილიპოსიანს გამოცხადდეს პარტკოლეგიაში (რუსთაველის პროსპ. 23, ოთახი № 21) ამხ. ბილიხოძესთან.

რუსთაველის თეატრი
სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით
1935—36 წლ. სეზონი.
თეატრის ბაქოში საგასტროლოდ გამგზავრების გამო
შარშანდელ აბონენტებს დანაკლის მე-10 წარმოდგენის ნაცვლად
უჩვენებენ პრემიერა „არსენას".
შარშანდელი აბონემენტების რეგისტრაცია თეატრის სალაროში 7 სექტემბრიდან დაიწყება.
სალარო ღიაა 11—2 და 7—9 საათ.
2—1 299 დირექცია.

ოქტომბერი 5-30, 7-15, 9, 10-50
დამკვრელი (საზ.-საზამთ.) 6-45, 8-15 9-40 11
ტემპი (საზაფხ.) ხმოვანი 8-15, 9-45, 11-15
რ. ლიუქსემბურგის სახ. 5-30, 7-15, 9, 11
ეთერი (საზამთ.) 8-10, 9-45, 11-15
„26"-ის კომ. სახ. 7, 8-30, 10
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 9, 10-15

დადგმის მესამე კვირა
ხმოვანი ფილმი პეპო
მხატვრული სათავგადასავლო ფილმი
მცდარ კვალზე. მე-2 სერია.
დადგმის მესამე კვირა
ხმოვანი სურათი გ. სუნდუკიანის პიესის მიხედვით
პეპო სცენარი და დადგმა დამსახურებულ რეჟის. ა. ბეკ-ნაზაროვისა.
სოფიო მაგარელი ახალ მხატვრულ სურათში
ფირმის საიდუმლოება
საზამთ.—ხმოვ. კომ. მხიარული ახალგაზრდობა
საზაფხ.—მხატვ. სურ. უკანასკნელი ატრაქციონი
მხატვრ. კომედია
რესპუბლიკის მემკვიდრე პრინცი.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებული დასასვენებელი სახლების და სანატორიუმების სამმართველო აცხადებს, რომ
მცხეთის მუშათა დასვენების კომბინატი
ა/წ. 10 სექტემბრიდან გადაეცემა საქ. პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოებას, რისთვისაც სთხოვს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და პირთ წარუდგინონ მას არსებული პრეტენზიები ა/წ. 7 სექტემბრამდე, რის შემდეგაც შემოსული პრეტენზიები განხილული და დაკმაყოფილებული არ იქნება.
მისამართი: ტფილისი, გრიბოედოვის ქ. № 19. 295

საქ. სახელმწიფო ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის დირექცია აცხადებს მასწავლებელთა და სტუდენტთა საყურადღებოდ, რომ
ინსტიტუტის ყველა კურსზე მეცადინეობა დაიწყება
15 სექტემბერს.
მასწავლებლებს ევალებათ გამოცხადდნენ ინსტიტუტში 7 სექტემბერს.
9362 ზოოვეტინსტიტუტის დირექტორი—ს. თოხაძე.

გრძელდება მე-4 მუსიკალურ პედ ტექნიკუმში
1-ლ კურსზე მისაღები გამოცდები.
მიღება ა/წ. 10 სექტემბრამდე.
დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ტექნიკუმის შენობაში, ლენრაიონი, ბრიგადირის ქ. № 7, საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე.
9360 დირექცია.

ქ. ტფილისის ლენინის სახელობის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი პ. მ. ლომია ამით აცხადებს, რომ ა/წ. 7 სექტემბერს, დღის 12 საათზე, ქ. ტფილისში, ორჯონიკიძის ქუჩაზე № 139
საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის
ყრუმუნჯთა გაერთიანების ხე ტყის საზერხ ქარხანას: კანტორას და ორ საზერხ დაზგას—20 ძალიანს, სულ 6000 მანეთად შეფასებულს. ქ. ტფილისის ლენრაიონის საბჭოს საიჯარო ქვეგანყოფილების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. ტფილისის სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ ა/წ 5 აგვისტოს თარიღით და 9981 №-ით გაცემული აღსრულებითი წარწერისა. საჯარო ვაჭრობის დროს დაცული იქნება საქ. სამოქ. საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლები. 9359

საქ. მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველოს სჭირია ცენტრში და რაიონებში
უფრ. ბუღალტრები, ბუღალტრები და მოანგარიშეები.
მიმართონ: ლუნაჩარსკის ქ. № 2, მესამე სართული, მეურნეობის მთავარ ბუღალტერს. 9366

2 სექტემბერს დაიკარგა
სანადირო ძაღლის ლეკვი — პოინტერ, სახელწოდებით „მარს", თეთრი ყვითელ ნარევი ფერის, ვინც მოიყვანს მიეცემა კარგი გასამრჯელო. მისამართი: ნიკოლაძის 1-ლი ჩიხი, სახლი № 5, მესამე სართული.
9963

პასპორტი № 064506 სერგო კარაპეტის-ძე ვართანოვის გამოცხადებული დაკარგულად, ნაპოვნია და ჩაითვალოს გაუქმებულად. 9367

შვილები: ვალოდია, ნატა, თამარა, გრიშა, ოთარი, ქეთო, რძლები: გალია, მარო, მაზლი გიორგი შვილიშვილებით: ნიკუშა, მერი, დათიკო, მარგალიტა, ლიზა იუწყებიან
დარია ტატიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 5 ს. ვერის სასაფლაოზე. კლარა ცეტკინის ქ. № 31 9365

სადგურ ნავთლუღის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. ვალოდია ტატიშვილის დედის
დარია ზაალის ასული ტატიშვილის
უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 5 სექტემბერს. გამოსვენება კლარა ცეტკინის ქ. № 31 5 ს. 9364

ღრმა მწუხარებაში მყოფი ძმები: არსენი, ნიკოლოზ, რძლები: ფუცია, თინა სადრაძეები იუწყებიან თავის კეთილებს და მეგობრებს უძვირფასესი ძმის
გიორგი სოლომონის-ძე სადრაძის
დაკარგვას. დაკრძალვა 5 სექტემბერს ბაგებში. 9358

და ელენე, სიძე ივანე ბერიძე შვილებით: გოგოლა, ლამიკო, გენო იუწყებიან ოჯახის სიამაყის
გულნარა სანიკიძის
უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი დღეს 7 ს. დაკრძალვა 6 სექტემბერს ვერის სასაფლაოზე 4 ს. გამოსვენება პლეხანოვის ქ. 197 ტრამვაის სახლი. 9363

დამწუხრებული დედა ამინადარა, ძმა გრიგოლა, რძალი როზა შვილი კოკოთი იუწყებიან
გულნარა ფერვანის—ასულ
სანიკიძის
უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 7 ს. გამოსვენება 6 სექტემბერს 4 ს. ვერის სასაფლაოზე. პლეხანოვის ქ. № 197 ტრამვაის სახლი. 9363

გულმოკლული დედა ნინო, ცოლი ალექსანდრა. ძმები: იოსები, სოლომონი ცოლშვილით, ანტონი, გოგოლა, და ლიდა იუწყებიან
ანდრო აბესალომის-ძე
ციკიტიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 სექტემბერს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ნინოშვილის ქ. 26 5 საათზე. 9361

ვანო ძინძიბაძე მეუღლით ელენე კვირკველიათი, ნინა დოლმიშვილი მეუღლით, თამარა ბერძენიშვილი მეუღლით, კატო, ირაკლი ძინძიბაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს დაუვიწყარი
აგრა გრიგოლის ასული
ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. 9348

დავით ნიკოლოზის-ძე ჯავახიშვილი მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს დაუვიწყარი, მეუღლის
აგრა გრიგოლის ასული
ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან, ბროსეს ქ., № 8, 5 სექტემბერს 5 საათზე ვერის სასაფლაოზე. 9343

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №84. ტელეფონები რედაქტორის 8—62—26. რედაქტორის მოადგილის 8—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 8—08—67, ხაზდივნის 3—08—88, მასობრივი განყოფილების 8—78—84, პარტმშენებლობის განყოფილების 8—57—61, სამრეწველო განყოფილების 8—78—40, სტამბის 8—27—04, გამომცემლობის—8—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.
სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული ბ 9304